



### ახალქალაქს თოვლისგან თანამედროვე ტექნიკით ასუფთავებენ

ახალქალაქის სერვის ცენტრი უკვე სამი წელია, რაც ფუნქციონირებს. როგორც ცენტრის დირექტორი არმენ ბიჩახჩიანი ამბობს, სამმა წელმა მას და ცენტრის თანამშრომლებს დაანახა, თუ რა სჭირდება ახალქალაქის მოსახლეობას საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

“ახალქალაქში ზამთარი ცივი და თოვლიანია. ამ დროს ტროტუარები იყინება, რაც ფეხით მოსიარულეებს მრავალ პრობლემას უქმნის. ამ დროს ხშირია როგორც მსუბუქი ტრავმები, ასევე მძიმე მოტეხილობები”, - აცხადებს ბატონი არმენი.

პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო იყო შესაბამისი ტექნიკის შეძენა, რისთვისაც მერიამ სრული თანხის გამოყოფა ვერ შეძლო. სერვის ცენტრის დირექტორმა დასახმარებლად LAG-ს მიმართა. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ რეკომენდაციები მიიღო და პროექტი სასარგებლო რჩევების გათვალისწინებით დაიწერა. შედეგად არ დააყოვნა და ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში, ცენტრმა თოვლის საწმენდი მანქანის შესაძენად საჭირო თანხის 65% მიიღო, 35% კი ადგილობრივმა მუნიციპალურმა ფონდმა დაფარა.



პროექტის შედეგად დასაქმდა: 2 ადგილობრივი  
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 128,348.00 ლარი  
ევროკავშირის დაფინანსება: 78,348.00 ლარი  
თანადაფინანსება: 50,000.00 ლარი

თოვლის ასაღებმა მანქანამ თავისი ფუნქცია გასულ ზამთარს უკვე შეასრულა და ბევრი ახალქალაქელის გულიც მოიგო. ახალი ტექნიკის შემოყვანამ ორი სამუშაო ადგილიც შექმნა. ერთ-ერთი მათგანი ახალგაზრდა ახალქალაქელი გევორჯ მკტრტჩიანია.

“ძალიან მსიამოვნებს, ჩემი სამსახურით თანამოქალაქეებს რომ სასიკეთო საქმეს ვუკეთებ. დონორისა და მუნიციპალური ფონდის მიერ გამოყოფილი თანხით შეძენილი მანქანა ზაფხულშიც დაგვხმარა. მე და ჩემი კოლეგა ყოველდღე მონაცვლეობით ვმუშაობდით და ქალაქში ნარჩენებს ვაგროვებდით. ძალიან მიხარია, რომ ახალქალაქელები სუფთა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრობენ”, - ამბობს გევორჯი.

სერვის ცენტრის დირექტორი, თითოეული ახალქალაქელის სახელით, მადლობას უხდის ევროკავშირს, GIPA-ს, LAG-ს და მუნიციპალურ ფონდს, რომელთა დახმარებითაც ახალქალაქელებს გარკვეულწილად გაუუმჯობესდათ საცხოვრებელი პირობები. არმენ ბიჩახჩიანის თქმით, ქალაქს კიდევ ბევრი რამ სჭირდება კომფორტული გარემოს შესაქმნელად და მას იმედი აქვს, რომ დონორები, ადგილობრივი ხელისუფლება და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით მუნიციპალიტეტში კიდევ მრავალი სასარგებლო პროექტი განხორციელდება.



ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირი საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხედუქყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პარტნიორები არიან მეხსი ქოფისი, ELVA საზოგადოებრივი რჩათუღობა და დასავლეთ კოჩის განვითარების პარტნიორობა.

ევროკავშირი მზარს უქუხს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარბობის დაძღვევაა. პროგრამის პირველი ფარის პრიორიტეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხედუქყობა, ხოლო მეორე და მესამე ფარა მიზნად ისარბავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: [www.enpard.ge](http://www.enpard.ge).